საზოგადოების ცოდნის, დამოკიდებულების და ქცევის შეფასება ბიომრავალფეროვნების და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში (საქართველო)

ნანა წიქვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბუნებათსარგებლობა (Msc)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მუმლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არის მოხსენიებული ციტირების სათანადო წესების დაცვის გარეშე.

ნანა წიქვაძე

30.06.2020

აბსტრაქტი

მსოფლიოს მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ბიომრავალფეროვნება კვლავ სწრაფ კლებას განაგრძობს. კონსერვაციული საქმიანობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ფართო საზოგადოებრივი ჩართულობა და კონსენსუსი, იმისათვის რომ კლების ეს ტემპები შენელდეს და საბოლოო ჯამში შეჩერდეს კიდეც. საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ქვეყნები სულ უფრო აქტიურად მიმართავენ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს და ატარებენ როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის თუ სოციალურ ღონისძიებებს. მსგავსი პროექტების წარმატებას და ზემოქმედებას საზოგადოების ცნობიერებისა თუ ჩართულობის დონეზე ზომავენ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე თავად ქვეყნები ეროვნულ დონეზე.

2016 წელს გერმანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ბიომრავალფეროვნების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების, დამოკიდებულებისა და ქმედების შესაფასებლად ჩაატარა კვლევა. მიღებული შედეგების ანალიზი, განვახორციელეთ გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე, სადაც ბიომრავალფეროვნების საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების შეფასებისას ხდება მათი კატეგორიზაცია სხვადასხვა საფეხურზე საკითხისადმი მათი ცოდნის, დამოკიდებულებისა და ჩართულობის მიხედვით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში მოსახლეობის ბიომრავალფეროვნებისადმი ინტერესი და კონსერვაციულ საქმოანობაში ჩართულობა მეტ-წილად დამოკიდებულია მოსახლეობის განათლებასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კვლევის შედეგად მოსახლეობის კლასიფიკაცია მნიშვნელოვანი საფუძველია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისათვის დაგეგმო მომავალში საზოგადოების ცნობიერების და ჩართულობის ასამაღლებელი კამპანიები.

Abstract

Despite global the efforts to stop the biodiversity loss, the rates still continue to pick up the pace. It is becoming extremely important to achieve public engagement and consensus in order to slow down and eventually stop biodiversity loss. To ensure public engagement countries actively implement awareness raising campaigns as well as different legislative, political or social measures. To assess the success and impact of suck projects on the awareness and engagement levels of the society, different studies are carried out both by international organizations and the state authorities.

In 2016 German Development Agency (GiZ) carried a study assessing the awareness, attitudes and action of Georgia's population towards biodiversity loss in the country. We analyzed the results of the study according to the example of the United Kingdom. While assessing the awareness and engagement levels of its society in biodiversity conservation issues, United Kingdom classifies the population on different tiers of awareness, attitudes and engagement.

Out study showed that in Georgia the interest towards biodiversity and engagement in conservational activities is mainly depending on the education and economic conditions of the population. Classification of the population according to their awareness of and engagement in biodiversity issues will serve as a good basis of the decision-makers to plan the relevant campaigns, policies and actions in the future.